



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 184

2013 წლის 24 დეკემბერი

ქალაქი ხაშური



შპს „შარა“-ს მიერ გადახდილი პირგასამტეხლოს თანხის დაბრუნების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „შარა“-ს 2013 წლის 5 დეკემბრის N516 წერილთან დაკავშირებით დაწყებული 2013 წლის 13 დეკემბრის ადმინისტრაციული წარმოების N1 ოქმის და 2013 წლის 19 დეკემბრის იურიდიული უზრუნველყოფისა და შიდა აუდიტის სამსახურის მოხსენებითი ბარათის შესაბამისად

1. დაკმაყოფილდეს შპს „შარა“-ს მოთხოვნა და დაუბრუნდეს 2013 წლის 13 აგვისტოს დადებული N172 ხელშეკრულების ვადების დარღვევისათვის დაკისრებული და მიმდინარე წლის 4 დეკემბერს გადახდილი პირგასამტეხლოს თანხა.
2. განკარგულება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ეცნობოს შპს „შარა“-ს;
4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, მ.კოსტავას ქ. N15)

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე